

1281

~~4027~~

~~481 1 4027~~



Г. П. О. И. А. Р. Х. И. В.
Фонд № 481, 1, Д. П. № 1281

1912 წ.

1281. (№ 4027). 33. საზოგადოების წევრთა წლიური კრების
შობსენებები, ანგარიშები და ოქმები. 1912 წ. მაისის 30—სექტემბ-
რის 26. ფურ. 119.

~~481 1 1281~~

1212,
მა 123 სურათ.

Центральный государственный исторический архив Грузинской ССР в г. Тбилиси

Лист использования документов

Фонд № 481 год _____ опись № 1 ед. хр. № 1221

Дата ис- пользования	№№ использо- ванных листов	Для какой цели использован документ	Характер использования документа (снята копия, сделана выписка)	Подпись лица, сделав- шего запись
1	2	3	4	5
95. XI. 77 19. III. 90	4-71	п. ф. 481-л. 20/2	сделана копия	[Handwritten signature]
26/7-1980 20/8/80		[Handwritten signature]	[Handwritten signature]	[Handwritten signature]

172

90481

№ 27 33

33 4027

საქმე

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა

1912 წლის სექტემბერი

შესახებ

დაიწყო

1912 წ.

გადასული

1912 წ.

183

ფურცელს შეიცავს საქმე.



0191 6811 მოხსენება გამგეობისა 1911 წლის საზოგადო კრების და-
 ვალებათა შესახებ. 1878

შარშან საზოგადო კრებამ სამი დავალება დააკისრა გამგეო-
 ბას: შირველი საკითხი შეეხებოდა წევრთა რიცხვის შემცირებას,
 მეორე სამ ენულ /ქართულ-რუსულ-ფრანგულ/ ლექსიკონის გამოცე-
 მას, და მ. ილიასეულ ფილისის მამულს.

შარშანდელ საზოგადო კრებაზე რამდენიმე შირი დაეკისრა გამგე-
 ობას: რა მიზეზია, რომ წევრთა რიცხვი შემცირდეთ. ამან გამოიწ-
 ვია ხანგაძის კამათი. ბოლოს კრებამ დაავალა გამგეობას საკით-
 ხის შესწავლა და განსაკუთრებულ მოხსენების წარმოდგენა. განახ
 ლებულმა გამგეობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქცია აღნიშნულ სა-
 კითხს და შემდეგი გამოაქვეყნა:

1907 წლამდე წევრთა შესახებ ასეთი წესი არსებობდა: ერთელ
 თუ ჩაწერებოდა ვინმე წევრად და ფულს შეიფანდა, ის შემდეგ
 ირიცხებოდა წევრად და წლითი წლობით ერთი წლის სიიდან მეორე-
 ში ვადაჰქონდა იმისდა მიუხედავად, შეჰქონდა ყოველ წლივ სა-
 წევრო ფული თუ არა. 1906 წელს საზოგადოების წევრად ირიცხებო-
 და 1878 შირი. ამ წლის საზოგადო კრებამ დაადგინა: " ვინც წლის
 განმავლობაში საწევრო ფულს არ შეიფანს, ის წევრთა სიიდან ამო-
 იშალოსო." თანახმად ამ დადგენილებისა, გამგეობამ წევრთა სია
 გაცხრილა და 1907 წლის წევრთა რიცხვმა, შედარებით 1906 წლისა,
 მესამედამდის დაიწია. 1907 წელს წევრად ირიცხებოდა მხოლოდ
 420. 1907 წელს წესდება შეიცვალა; საზოგადოებას ნება მიეცა
 განყოფილებების დაარსებისა სხვა და სხვა ადგილას. უთუოდ ამ
 გარემოებამაც გავლენა იქონია წევრთა რიცხვის შემცირებაზე:
 1908 წელს წევრთა რიცხვი 328-მდის დავიდა. 1908 წელს რამდენ-
 იმე ადგილას გამოაცხადეს სურვილი განყოფილების დაარსებისა.
 გაიხსნა 10 განყოფილება. ადგილობრივ წევრთა სიას აღდგენდენ
 და მთავარ გამგეობას წარმოდგენდენ ხოლმე დასამტკიცებლად.
 ამის გამო 1909 წელს წევრთა რიცხვმა უეცრად იმატა და 842მდის
 ავიდა. ხოლო 1910 წელს კი უფრო თვალსაჩინოდ იმატა; ამ წელს

"საზოგადოებას" ჰყავდა II68 წევრი; სასწავლო წლის განმავლობაში
 უმაჟავა 1511 წევრი.

წელიწადი	მკველი წ.	გაცხრილვა	რყევა	ღონებე	ღამღვარი.	
	1906	1907	1908	1909	1910	1911
წევრთა რიცხვი	1373	420	328	342	1168	1511

როგორც ამ ცხრილიდან ხჩანს, წევრთა რიცხვი წესდების შეცვლის შემდეგ თან და თან მადულობს და არა კლებულობს, როგორც ეს ზოგიერთს ეგონა შარშანდელ საზოგადო კრებაზე.


4. საკითხი სამ-ენულ /ქართულ-რუსულ-ფრანგულ/ ლექსიკონის შესახებ ისევ იმ მდგომარეობაშია, როგორშიაც შარშან იყო. შარშანდელ მოხსენებას შევევიძლია დავუმაფოთ მხოლოდ ის, რომ ლექსიკონის გამოსაცემად საჭიროა დიდი თანხა, გამგეობას კი ხელთ აქვს მხოლოდ 3000 მანეთი, რომელიც ამ საგნისათვის შემოსჩირეს შადვიცემულმა მმებმა ლევან, იაკობ და შეფრე ზუბალაშვილებმა. ამისთანა მცირე თანხით გამგეობა ვერ ბედავს საქმის დაწყებას.

3. ილიასეულ ფილისის მამულის შესახებ საზოგადო კრებამ სურვილი გამოსთქვა, რომ იგი გამგეობამ არ გაუშვას ხელიდან და ამისათვის მიემართოს საადგილ-მამული ბანკს, თავად-აზნაურობას და სხვათა. გამგეობამ შირველ ყოვლისა მიმართა საადგილ-მამული ბანკს, რომელიც სიამოვნებით მიეგება წ.ვ. საზოგადოების სურვილს, მაგრამ საკრედიტო კანცელარიამ აღუკრძალა ბანკს ილიასეული მამული მუქთად გადასცემოდა წ.ვ. საზოგადოებას. ამის შემდეგ, რადგან სხვა სახსარი არ იყო, გამგეობამ გადასწყვიტა ხელ მოღაღ ხელი აუღო ილიასეულ მამულზე ფილისში.

თავმჯდომარის აზხანუი

გაჟუღბის წევრნი: }
 ს. კახიძე

306
1992/11/14



"ქ.პ.წ-ვ გამავრცელებელ საზოგადოების" კრებისადმი სარევიზიო კომისიის მოხსენება.

"საზოგადოების" წესდების მე-15 მუხლის თანხმად არჩეულმა სარევიზიო კომისიამ განიხილა "საზოგადოების" გამგეობის მიერ შედგენილი ანგარიში "ქ.პ.წ-ვ გამავრცელებელ საზოგადოების" I9II წლის მოქმედებისა და ამასთანვე მოახსენებს კრებას, რომ: ა/ ანგარიში სწორედ არჩეულ შედგენილი და იქ გამოცხადებული ბალანსი, აგრეთვე შემოსავალ-გასავალის ნუსხას გამოყვანილია "საზოგადოების" დავთრებისა და საბუთების თანხმად, და ბ/ გამგეობის მიერ ნაანგარიშევი "საზოგადოების" ნაღდი ფული და სარეგულიანი ქალაქები, იმავე დავთრებისა და საბუთების თანხმად, უკლებლივ ბანკებში ინახება. მხოლოდ კომისია საჭიროდ სცნობს "საზოგადოების" წევრთა ყურადღება ანგარიშის ქვემო აღნიშნულ ნაკლებ მიაქციოს იმ იმედით, რომ შემდეგისთვის უთუოდ შესწორდეს:

ბალანსის აქტივში /გვ. 92/ ნაჩვენებია: I/ აგენციები 6634 მან. 773. და დებიტორები I0.0I9-I4. ამ ორი მუხლის შესახებ სარევიზიო კომისიას წინადაც მოუხსენებია კრებისთვის, რომ ამ ანგარიშებიდან ბევრუნდა ამოიშალოს, რადგან ამათი განაღდება უიმედოდ უნდა ვსცნოთ. ასთანვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგ დებიტორთა და აგენციების შესახებ სწორედ უყურადღებობა გამოუჩენია გამგეობას, რადგან აღვიღალ შემოღობო ამათგან ფულის აღება. მაგრამ ამ I9I2 წლამდე ამაზე არც-კი უფიქრიათ.

2/ გარდამავალი ფული დებეჯით ნაჩვენებია I237-57 და ამაში მოცხადებულია ფას-დადებით გაგზავნილი წიგნები. საბუთების გარჩევანდ აღმოაჩინა, რომ ბალანსში გამოცხადებული ღირებულობა გაგზავნილ წიგნებისა 63-33 ნაკლებია, ვიდრე საბუთებითაა ნაჩვენები.

ბალანსის პასივში /გვ.93/ გამოცხადებულია: კრედიტორები 39.934-93, ნამდვილად-ვი ჭამი კრედიტორებისა გამოვიღა 40.802-I7, 3867-24 მეტი.

წიგნის მალაზია და საწყობი. მალაზიისა და იმის საწყობის შემოწმების დროს აღმოჩინდა, რომ წიგნების ანგარიში არეულია: ზოგი წიგნი მეტია ნაჩვენები, ზოგიც-ნაკლები. ასეთს ახირებულ ცნობასაც წყლით დავთარში ერთის სახელმძღვანელოს შესახებ: გასასყიდად შემოღობო 349 ცალი; გაიყიდა 352 და მალაზიაშიაც გვიჩვენებს ვიდრე 8 ცალი.

ТИФЛИСКОЕ ОБЩЕСТВО
РАСПРОСТРАНЕНИЯ ГРАМОТНОСТИ
СРЕДИ ГРУЗИНСКАГО
НАСЕЛЕНИЯ.

Господину Тифлискому
Полицеймейстеру.

ПРАВЛЕНИЕ ОБЩЕСТВА

№ 211.

8 июня 1912 г.

Гор. Тифлиск.



Въ дополненіе отношенія отъ I сего іюня,
за № 206, имѣю честь увѣдомить Ваше Высокоро-
діе, что общее собраніе Членовъ Общества Ра-
спространенія Грамотности, вмѣсто не состояв-
шагося 3-го сего іюня, ^{назначено на} состоится II сего іюня
въ залѣ Грузинскаго театра, въ 8 часовъ вече-
ра.

Товарищъ Предсѣдателя

Дѣлопроизводитель

Имѣю честь уведомить Ваше Высочество, что
разрешеніе отъ общаго собранія состоитъ членовъ Общества
распространенія Грамотности

№ допущение сообщений от 1^{го} ¹⁸²⁰ сего ноября, за № 4
и 2 за № 206 и 211, и мною решено уведомить Ваше
Высокопрее, что предложение одного из граждан
губернии Одесского Распространения Грамотности
среди грузин, паратаго 11^{го} сего ноября, состоя
в помещении грузинского театра 13^{го} и 15^{го}
сего ноября от Грасова верера. —

Монарху Председателю

Исполнительный

ანგარიში

ქართულთა შორის წერა-კითხვის
გამავრცელებელის სასოგადოების

მთქმელისა.

1911 წელი

წელიწადი XXXIII.

თბილისი

ლექტო-მბეჭდავი სტამბა ა. შ. შერესელიძისა, გრიბოედოვის ქ. № 34

1912

მ ქ მ ი

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წევრთა

საზოგადო კრებისა 21 აპრილს 1911 წ.

კრება გაიხსნა საღამოს 8¹/₂ საათზე საზოგადოების თავ-
მჯდომარის გ. ნ. ყაზბეგის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრო
76 წევრი.

კრების გახსნისათანავე თავმჯდომარემ მოახსენა საზოგა-
დოებას, რომ საანგარიშო წელს გარდაიცვალნენ საზოგადოე-
ბის საპატიო წევრი ვახტანგ დიმიტრის ძე თულაშვილი და კო-
ნსტანტინა ტურიაშვილისა. უკანასკნელმა თავისი ქონება შესწი-
რა ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას და
ტფილისის ქართულ გიმნაზიას. საზოგადოებამ ღირსეულად
დაასაფლავა განსვენებული ტურიაშვილისა, გადაიხადა ნახევარი
წლის წირვა და პანაშვიდი, ხოლო წლის თავზე აუგო მას სა-
ფლავზე შესაფერი ძეგლი. თავმჯდომარემ წინადადება მისცა
კრებას ფეხზე წამოდგომით პატივი ეცათ განსვენებულთა ხსო-
ვნისათვის.

გამგეობის მდივანი ლ. ბოცვაძე კითხულობს გამგეობის
მოხსენებას იმის შესახებ, თუ რა მიზეზით არ მოხდა საზოგა-
დოების კრება 1910 წელს. შემდეგ სარევიზიო კომისიის თავ-
მჯდომარე ანდრია ლულაძე კითხულობს სარევიზიო კომისიის
მოხსენებას, სადაც ნათქვამია, რომ ანგარიში სწორედ არის
შედგენილი და იქ აღნიშნული ციფრები სრულად ეთახმებიან
იმ დაეთრებს, რომლებსაც გამგეობა აწარმოებს. ამასთანავე
აღნიშნულია მოხსენებაში შემდეგი შენიშვნები: 1) „სათადა-
რიგო და სახარჯო თანხები“ არც ნაღდ ფულად ჩანან და არც
გარკვეულია, რაზედ არის დახარჯული; 2) „დებიტორებისა

და აგენტების“ ანგარიშები ზედმეტ ბარჯად აწეეს „საზოგადოების“ ჭონებას, რადგან უმეტესი ნაწილი ასაღებად აღნიშნული ფულისა სრულებით უიმედოა; 3) ყველა სკოლების რევიზია გამგეობას ვერ მოუხერხებია და სკოლების ანგარიშიც სასვებით არ არის მოყვანილი; 4) მუხტუმის ნივთები უსისტემოდ და უწესრიგოდ ჩაულაგებიით ყუთებში და ისე აქვთ შენახული; 5) წიგნის მაღაზიის რევიზიის დროს აღმოჩნდა, რომ ზოგი წიგნი ზედმეტი იყო, ზოგიც კლებია, და 6) გამგეობას არ გამოუთქვამს თავისი აზრი და დასკვნა. ილიასეული მაშულის ანგარიშის შესახებო. სარევიზიო კომისიის მოხსენების შესახებ გამგეობის წევრი ლ. ბოკვაძე კითხულობს გამგეობის ვრცელ განმარტებას, სადაც ახსნილია: 1) რომ „სათადარიგო და სახარჯო“ თანხები გადაქცეულა „საზოგადოების“ სხვა გვარ ჭონებად: წიგნებად და ინვენტარად, და 2) მუხტუმის ნივთების სისტემატიურად ყუთებში ჩალოდნა შეუღლებელიც იყო და მიზნის შეუფერებელიც. ამასთანავე გამგეობამ მოახსენა კრებას, თუ რა მდგომარეობაშია ამ ყმადა საკითხი ქართულის მუხტუმის აგების შესახებ.

შია დედაბრიშვილი: როცა ჩვენ მოხსენებას ვადგენდით, ვკითხვით მდივანს ლ. ბოკვაძეს და სხვებსაც, რაში იყო დახარჯული თანხები, და განმარტება კი ვერაივსიდან მივიღეთ; ამის გამო აღნიშნეთ ჩვენს მოხსენებაში, მაგრამ გამგეობას მაინც უნდა გამოერკვეია და აღედგინა სრული სურათი ამ თანხებისა. **დ. კარიჭაშვილი:** სახარჯო თანხა ნაღდად გამოიღოა 15 წლის წინად. მის შემდეგ საზოგადოება ხარჯავდა წიგნების გამოცემაზე და ივენტარის შექმნაზე სათადარიგო თანხას, რომელიც გამოიღოა ამ რვა წლის წინად. იმის გამოსარკვევად, თუ რაზედ რაედენია დახარჯული ამ თანხებიდან, უნდა ვაისინჯოს ძველი ანგარიშები, საიდგანაც დავინახავთ, რომ ხსენებული თანხები დაზანდებულია აქტივის ყველა მუხტუმში და უმთავრესად წიგნებში. შესახებ ანგარიშების ვითომ არეულად რევიზია უნდა მოგვასწნოთ, რომ არეული ანგა-

რიში არაფერია. ვინც ბალანსის გარჩევა იცის, მისთვის სუკველადფერი ცხადია. **თავმჯდომარე:** დღევანდელი ნაკლი მომავალში გამოსწორდება. ცალკე მოხსენება გვაქვს და იქიდან დავინახავთ, თუ როგორ უნდა ვაწარმოოთ მომავალში საქმე.

შემდეგ საზოგადო კრება შეუდგა ანგარიშის მუხლობრივ განხილვას. **ნ. ელიავა:** ანგარიშის პირველის მუხლიდან სჩანს, რომ უკანასკნელ წლებში წვერთა რიტხის ძლიერი უკლია. ამის მიზეზად მე მიმანია საწვერო ფულის სიდიდე, რაიცა უნდა შემკირდეს მანეთამდე. ვითხოვ, რომ ეს კითხვა შეტანილ იქნას ამ კრების წესრიგში. **ალ. მდივანი:** არა ვარ იმის წინააღმდეგი, რომ საწვერო გადასახადი შემკირებული იქნას, მაგრამ წარსულ კრებაზედაც იქნა აღძრული ეს საკითხი და მაშინ ხნის უმეტესობით გადაწყდა დარჩენილიყო ჯერ-ჯერობით საწვერო ფული სამი მანეთი. ამას გარდა წესდების ძალით, ვისაც კერძო აზრი აქვს კრებისათვის წასადგენად, მან ეს აზრი უნდა განუცხადოს გამგეობას ერთი კვირის წინ. ამ წესის დაცვა საქმის ინტერესისათვის საჭიროდ მიმანია. **გ. რცხილაძეს, შ. მესხიშვილს** და სხვებს საჭიროდ მიმანიათ, კრებამ დადგენილობა გამოიტანოს, რომ საკითხის გადასაწყვეტად მოიწვეულ იქნას საგანგებო კრება. **ა. კ. ჩხენკელი** ამ კრების მოწვევის ვადად ორს თვეს ასახელებს. საზოგადო მსჯელობა ორ მიმართულებას რღებლობს: კენჭის საყრდელ წარმოადგენილი იქნა ორი რეზოლუცია: I—„ვიღებთ რა მხედველობაში, რომ წერა-კითხვის საზოგადოების წვერთა სიმკირე დამოკიდებულია უმთავრესად საწვერო გადასახადის სიდიდესზე, საზოგადო კრება ავალტებს გამგეობას ახლო მომავალში საგანგებო კრება მოიწვიოს ამ საკითხის გადასაწყვეტად“. II—„ვიღებთ რა მხედველობაში, რომ წერა-კითხვის საზოგადოების წვერების რიტხი შემკირდა, საზოგადო კრება ავალტებს გამგეობას შეისწავლოს ეს საკითხი და ამ საკითხის გამოსარკვეველად და გადასაწყვეტად წარმოუდგინოს საგანგებო კრებას თავისი მოხსენება“. ამ ორ რეზოლუციას უყარეს კენჭი. თითოთმ მიიღო

26 — 26 ხმა. ამის გამო ხელ მეორედ კენჭის ყრა გადაიდო. შემდეგი სხდომისათვის და კრება შეუდგა ანგარიშის განხილვისას. **5. ელიავა:** ანგარიშის შესამე მუხლში მოხსენებულია საგარეჯოს სკოლის დაკეტვა. საზოგადოდ სკოლის დაკეტვა არ არის სასურველი, მომეტებულად კახეთში, სადაც სკოლები ისედაც უკტაა; თუ „საზოგადოებმა“ ხსნის სადმე სკოლებს, სახსარიც უნდა მოუპოვოს არსებობისათვის. **ლ. ბოცვაძე:** საგარეჯოს სკოლას ჩვენი საზოგადოება არ ინახავდა თავის ხარჯით. საგარეჯოელებმა მომართეს გამგეობას გაეხსნა მათთვის სკოლა, ხარჯს სკოლის შესახად აღგილობრივი მკვიდრნი კისრულობდნენ; გამგეობამაც გახსნა საგარეჯოში სკოლა და თავის მხრით შემწევობას აძლევდა სახელმძღვანელო წიგნების მიწოდებით უფასოდ, მაგრამ წლის ბოლოს აღმოჩნდა, რომ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ვერ შეძლეს სკოლის შენახვა და ის თავის თავად დაიკეტა უსახსრობის გამო. საგარეჯო თითქმის კახეთის შუაგულია, იქ სხვა სკოლებიც არის; გამგეობას რომ მოეწოდებინა თავისი ხარჯით სკოლის შენახვა საგარეჯოში, ეს უაზრობა იქნებოდა, რადგანაც კახეთში არის სხვა სოფლები, სადაც სკოლა არ არსებობს და უფრო საჭიროა სკოლის გახსნა, ვიდრე საგარეჯოში. **6. ელიავა:** სკოლების ანგარიშში მოხსენებულია, რომ კავკავის სკოლა ძლიერ ჩამოჭევითებულია სწავლა-აღზრდის მხრით 1909 წ. გამგეობას მიუღია ზომები, მაგრამ უმოაგრესი კი დავიწყებია. 1910 წელში იქ სარევიზიოდ არაფინ გაუგზავნია, რომ შეემოწმებინა სკოლის საქმეები. ამის გარდა დაუთვალთვრებელი დარჩენილა სხვა სკოლებიც. მავალითად, ქუთაისის სათავადო აზნაურო სკოლაში მოწაფეებს, როგორც ანგარიშში მოყვანილის ცხრილიდან ხიანს, აუარებელი ვაკეთილები გამოუშვიათ, არ ვიცი თ კი რა ყოფილა ამის მიზეზი. **აღ. მღივანი** ამტკიცებს, რომ მოწაფეთა რიცხვთან შედარებით ვაცდენილის ვაკეთილების რიცხვი ბევრი არ არის.

თავჯღამარე: სკოლები რომ ვერ დავთავალთვრებთ,

ამას ჩვენც აღვიარებთ ჩვენს ანგარიშში. ხოლო თუ როგორ მოვაწყოთ საქმე მომავალში, ამას დაეინახავთ შემდეგის მოხსენებებიდან. **ექვთიმე თაყაიშვილი** შენიშნავს, სამუხუფეურო ნიეთები, რომელნიც გიმნაზიაში გადატანილი და უთუთში არის ჩალაგებული, თუ ასე დარჩა დღიდან, გაუფუტდება და შემდეგ გამოუსადეგარი გახდება; ამიტომ საჭიროა მათი გამოწვეურება. **შალვა მიქელაძე** აღნიშნავს, რომ წ. კითხვის საზოგადოება დღემდის არ ცდილობს გამოსცეს ჩვენებური კლასიკური ნაწარმოები, არ მოგვეპოვება ილიას სრული თხზულება და არც სხვა მწერლისათა, საჭიროა გამგეობამ მოაქციოს ყურადღება ამ გვარ გამოცემასაც. **შალვა აღექი-მესხიშვილი** აღნიშნავს, რომ გამგეობა არ აქცევს ყურადღებას ხალხში გასავრცელებლად სამეცნიერო წიგნების გამოცემასაც. **ლ. ბოცვაძე:** ჩემის აზრით, არც შალვა მიქელაძის აზრია მართალი და არც შალვა აღექი-მესხიშვილისა. წერა-კითხვის საზოგადოებას გამოუცია ჩვენი კლასიკებიც: „ვეფხისტყაოსანი“, „ნ. ბარათაშვილის ნაწერები“ და სხვ. რაც შეეხება ილიას ნაწერების სრულს გამოცემას, ეს მომავლის საქმეა, გამგეობამ ილიას ნაწერები თავდაპირველად სახალხოდ გამოცა იაფ-უასინან წიგნაკებათ. ეს საუკეთესო გზა იყო, რომ ილიას ნაწერები ხალხში გავრცელებულიყო. არც სამეცნიერო წიგნების გამოცემა დაუტოვებია გამგეობას უყურადღებოდ; გამოცემულ წიგნთა რიცხვში სამეცნიერო წიგნებიც ურევია; მართალია ბევრი არა, მაგრამ ეტყება, რომ გამგეობა ცდილა მინც სხვა და სხვა გვარი სულიერი საზრდო მიწოდებინა ხალხისათვის და იგი, ჩემის აზრით, საყვედურის ღირსი არ არის. **ნ. ელიავა** ეტება საკითხს საკვირაო სკოლების შესახებ. გამგეობას უნდა მიეღო ღონისძიება, რომ საკვირაო სკოლები მოეწყოს, რადგანაც დღეს მათი მნიშვნელობა ყველასათვის ცხადია. **აღ. მღივანი:** გამგეობას უნდოდო საკვირაო სკოლების გახსნა, მაგრამ სამოსწავლო ადმინისტრაცია მოითხოვდა საკვირაო სკოლებში სწავლებას რუსულ ენაზე, რაც

მიუწოდებელია უსწავლელი ხალხისათვის და ამიტომ გამგობა ვერ გახსნიდა ვერსად ისეთს სკოლებს, სადაც სწავლება გავლებარს ენაზედ უნდა ყოფილიყო. **ხარტიშვილი:** თუ გამგობას სწავლის გავრცელება სურდა ხალხში, უნდა ვაგხსნა საკვირთა სკოლები, თუნდაც სწავლება რუსულ ენაზედ ყოფილიყო; უნდა გაემართა მასწავლებელთა კურსებიც. როდესაც ნებას არ ვაძლევდევ სწავლა მშვილთთ სამშობლო ენაზე, მაშინ სწავლა უნდა შევიძინოთ იმ ენით, რომლითაც საშუალება გვაქვს. ასეთი ენაა დღეს ჩვენთვის რუსული ენა. **გრიგოლ რცხილაძე** მოითხოვს ხარტიშვილის აზრის შეტანას ოქმში. ხარტიშვილი თანახმაა ამ მოთხოვნებისა და თხოულობს, რომ მისი აზრი ხაზგასმით იქნას შეტანილი ოქმში. **ალ. მდიანი:** ელანდელი წევრები წერა-კითხვის საზოგადოებისა არას დროს არ შეურიგდებიან ხარტიშვილის წარმოთქმულ აზრს; საზოგადოების მიზანია ხალხში სწავლა-განათლების გავრცელება სამშობლო ენაზედ და ამ აზრს არც უღალატებს. კამათი წყდება. თავმჯდომარე ციხება საზოგადოებას ანგარიშის დამტკიცების შესახებ. კრება ამტკიცებს ანგარიშს და შემდეგი კრება გადაიდგა 23 აპრილისათვის.

ო ქ მ ი

საზოგადო კრებას 23 აპრილს 1911 წ.

კრება გაიხსნა საღამოს 8 საათზედ გ. ნ. ყაზბეგის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრა 82 წევრი საზოგადოებისა და გამგეობის წევრნი: დ. კარიკაშვილი, ალ. ყიფშიძე, ალ. მდიანი და ლ. ბოცვაძე.

წაკითხულ იქნა ოქმი 1911 წლის 21 აპრილის საზოგადო კრებისა. **ხარტიშვილი:** ჩემი სიტყვები ოქმში ისე არ არის შეტანილი, როგორც მე გამოვთქვი და როგორც „სახა-

ლხო ვაზეთმაც“ აღნიშნა სისწორით; ვვლავ ვიმეორებ ჩემს სიტყვებს და მინდა ჩემი განცხადება ხაზგასმით იქნეს შეტანილი ოქმში. ჩვენი მასწავლებლები უგუნურები არიან თავისი უკოდინარობით, ამიტომ მათ რუსულ ენაზე მინც მიიღონ ცოდნა, თუ ქართულ ენაზედ ნებას არ აძლევენ. ოქმს კრება ამტკიცებს. **ნ. ელიავა:** თხოულობს კამათში მონაწილეობის ნება მიეცეს იმ პირთაც, ვინც ცელა აპირებენ წვერებად ჩაწერას. **თავმჯდომარე:** კამათში მონაწილეობის უფლება ექნებათ ყველას, მაგრამ ვადაწყვეტი ხმა კი არა-წევრთ არ ექნება. გამგეობის წევრი **ალ. ყიფშიძე** კითხულობს გამგეობის მოხსენებას იმის შესახებ, თუ რა გეგმით უნდა იხელმძღვანელოს მომავალში ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ. კამათი იწყებს მოხსენების პირველი მუხლი: „საზოგადოება ვალდებულია დაუბრუნდეს თავის პირველდელს გეგმას და სასტიკად დასრულოს პირველი მუხლი წესდებისა, რომელიც გამოასახულია ასეთის ფორმულით: პირველ-დაწყებითი სკოლა სამშობლო ენაზე სწავლებით“. **ნიკო ელიავა** და **მიხეილ გედევანიშვილი** ამტკიცებენ, რომ ეს მუხლი უფრო ეიწორა ფარგალშია ჩაყენებული, ვიდრე თვით წესდების პირველი მუხლი და მოითხოვენ პირველი მუხლი წესდებისა ძალაში დარჩეს. **გ. მუსხელიშვილი** მოითხოვს მოხსენების პირველი მუხლის მეორე ნაწილის წაშლას. **გრ. რცხილაძე** განმარტავს: „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობას აუარებელი საქმე აქვს. იგი თავისი ენერჯის 80% ხარჯავს ისეთს სასწებზე, რომლებიც მის პირდაპირ დანიშნულებას არ შეადგენს. სიამოვნებით ვეგებები გამგეობის მოხსენების პირველს მუხლს; მხოლოდ პირველ-დაწყებითი სწავლა უნდა შეიცავდეს „სახალხო განათლებად“. საზოგადო კრებამ პირველ მუხლში შეიტანა შემდეგი ცვლილება: „საზოგადოება“ ვალდებულია მიჰყვეს თავის პირვანდელ გეგმას და დასრულოს პირველი მუხლი წესდებისა, რომლის აზრი სახალხო განათლების გავრცელება ქართველთა შორის სამშობლო ენის საშუალებ-

ბით“. მეორე და მესამე მუხლი მოხსენებისა კრებამ სრულიად უარყო. მესამე მუხლში დასტოვა შემდეგი ადგილი: „უსასყიდლო შრომა უნდა განდევნოს საზოგადოებაში მომავალში და პასუხ-საგები შრომა სპეციალისტებისა ჯეროვანად დააჯილდოვოს“. კრებამ უარყო, აგრევე მოხსენება გამგეობისა, რომ არსებული ფონდები სამ დიდ ფონდად შეერთდეს.

ამის შემდეგ კრებამ ექვი უყარა წინა კრებაზე წარმოდგენილ რეზოლუციებს. ხმის უმეტესობით კრება ღებულობს შემდეგს რეზოლუციას საწვევრო გადასახადის შესახებ: „ვიღებთ სა მხედველობაში, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრების რიცხვი უმცირდა, საზოგადო კრება ავალებს გამგეობას შეისწავლოს ეს საკითხი და ამ საკითხის გამოსარკვევად და გადასაწყვეტად საგანგებო კრებას წარმოუდგინოს თავისი მოხსენება“.

შემდეგ წაკითხულ იქნა გამგეობის მოხსენება ქართულ-რუსულ-ფრანგულის ლექსიკონის გამოცემის შესახებ: რადგან ქართულ-რუსული ლექსიკონი ჩუბინაშვილისა აღარ იშოვება გასასყიდად, ხოლო მოთხოვნილება კი დიდია, ამის გამო გამგეობამ ვანინზაბა ახალის ლექსიკონის გამოცემა. ამ საკითხის გამოსარკვევად საგანგებოდ მოწვეულთ პირთა კრებამ საჭიროდ დანიხა, რომ ლექსიკონი იყოს სამ-ენული ქართულ-რუსულ-ფრანგული. იმავე კრებამ საუმჯობესოდ სცნო, რომ რედაქტორობა დაჰქირებოდა ერთს ეკს, რომელიც თანამშრომლებად მოიწვევს, ეისაც საჭიროდ დანიხავეს. ლექსიკონი უნდა დაიბეჭდოს 2000 ცალი, ჩუბინაშვილის ლექსიკონის ფორმატისა, 1500 გვერდი; მთელი გამოცემა დაჯდება 11 ათას მანეთადღის. თუ საზოგადო კრება მოიწონებს ამ აზრს, მაშინ ნება უნდა დართოს გამგეობას, რომ საჭირო ხარჯის გასაწყვეად ისესხოს ფული საგანგებო თანხებიდან იმ პირობით, რომ გამოცემის შემოსავალი უბრუნდებოდეს თანხებს, ვიდრე მთლად არ გადაიხდება ვალი.

სიტყვას თხოულობს აკ. ჩხენკელი. იმის აზრით, საჭიროა არა მარტო ქართულ-რუსულ-ფრანგული, არამედ მისთან ერ-

9

თად რუსულ-ქართული და ფრანგულ-ქართულიც. ლექსიკონების შედგენის დროს აუცილებელი უცხო ენების ლექსიკონებით სარგებლობა. საზოგადოება ახლო მომავალში ვერ იკისრებს ამგვარს ლექსიკონის გამოცემას და, რომ იკისროს, ამ საქმის ცალკე მოვარება გაცილებით მეტს შრომის და ხარჯს მოითხოვს. სასურველია, რაც შეიძლება მეტი ქართული სიტყვა შევიდეს ახალს ლექსიკონში. მაგრამ მიზნის ასეუბით მიღწევა ამ ცოტა ხანში მიუზღებრებელი ძალების სიტყვის გამო. ამ მიზანს უკეთ მივაღწევთ, თუ უცხო ენების სრულ ლექსიკონებიდან ითარგმნება სიტყვები ქართულად და შემდეგ დაიწყება ანბანის წესზე; საჭიროა ლექსიკონის შესადგენად დავიხმაროთ ერთს ყველა ძალეები და ანბანად მივეცეთ მას ჩანდელი ხალხური ხასიათი. საჭიროა შეგროვება და ქართულადვე განმარტება ხალხში თუ მწერლობაში ვაბეულის ძვირად ხმარებულის და ამიტომ ბევრისათვის ვაუვებარის ქართულის სიტყვებისა. —საქმის ორგანიზაცია, ჩხენკლის აზრით, უნდა მოეწყოს ასე: 1) ეიწრო წრე სამის პირისაგან — ქართულიდან, რუსულიდან და ფრანგულიდან მთარგმნელორედაქტორნი; 2) ფართე წრე ათის პირისაგან, იგივე თანამშრომელნი; 3) პრესა. ლექსიკონის შედგენა უნდა გამოყოფილ იქნას მის გამოცემისაგან, შედგენის ვადის განსაზღვრა არ უნდა აღმუბტებოდეს სამს წელიწადს. კრებას თავის ხარჯთ-აღრიცხვაში შეიტანს. მხოლოდ ერთის წლის ხარჯს 4800 მან.; აქედან გამგეს 1400 მან., დანარჩენ ორ წევრს 1200 მ. თითოს. ამ რაოდენობას „საზოგადოება“ დაესესება საგანგებო თანხები და საქმის ვანაღდებისამებრ დაუბრუნებს მათ. რაც შეეგება სხვა წყაროს, ეს არის ხელის მოწერით შეგროვება.

გრ. რცხილაძე თხოულობს საკითხი ლექსიკონის შესახებ ვადილიდ შემდეგის სხდომისათვის. ამ რთულის საკითხის განხილვის, ჩემის აზრით, ვერც ხვალ მოვაჭრებთ და საჭირო იქნება ამისათვის საგანგებო კრების მოწვევა“. ამის შემდეგ კრება შესწყდა და განგრძობა კრებისა დანიშნა 24 აპრილისათვის.

ო ქ მ ი

სსზოჯალო კრების 24 ახადს 1911 წ.

24 აპრილს სსზოჯალო კრება ვიხსნა გამგეობის წვერის დ. კარიკაშვილის თამყდლიმარეობით, რომელიც წინადღე-ბას აძლევს კრებას განაგრძონ კამათი ლექსიკონის შესახებ. გრ. რციხილაძე აღძრავს საკითხს: აქვს თუ არა ნება განყოფილების წვერებს მონაწილეობა მიიღონ საკითხის გადაწყვეტაში. ალექსანდრე დიასმიძე, კიტა აბაშიძე და შალვა მიქელაძე ამტკიცებენ, რომ განყოფილების წვერებსაც უფლებმა აქვსთ მონაწილეობა მიიღონ საკითხის გადაწყვეტაში. მიხეილ გედევანიშვილი წინამდღევა განყოფილებათა წვერებს მიეცეს ხმის უფლება. სსზოჯალო კრება აძლევს ხმის უფლებას განყოფილებათა ყველა წვერებს. მცირე ხნის კამათის შემდეგ ლექსიკონის გამოცემის შესახებ კრება ერთხმად ღებულობს წინადღებას: საკითხი ლექსიკონის გამოცემის შესახებ ვადაღებულ იქმნას და დაწერილებით ვანხილული მომავალ სსზოჯალო კრებაზე. აკაკი: ქართული ენა ინახება მდაბიო ხალხში იქ არის ტენის საღარო. ბევრი სიტყვა დარჩენილი ხალხში, რომელიც ჩვენ არ ვიცით; კაბინეტში მოგონილს სიტყვებს ყოველთვის სჯობია ის ბუნებრივი ქართული სიტყვები, რაც ხალხში მოიძებნება. ამიტომ საჭიროა ხალხური ზებირ-სიტყვაობის შეკრება, რომელიც ავაცილებს თავიდან კაბინეტში მოგონილს უხერხულ სიტყვებს. ზებირ-სიტყვაობის შედგენა იქნება პირველი ნაბიჯი ლექსიკონის შედგენისაკენ დ. კარიკაშვილი: საკითხი ლექსიკონის შედგენის შესახებ უკვე ვადაღებულია: რაც შეეხება ბ-ნის აკაკის აზრს: ის ოქმში იქნება შეტანილი და ლექსიკონის საკითხის დაწერილებით განხილვის დროს მის მოსაზრებასაც ყურადღებას მიაქცევს ვამგეობა.

გამგეობის წვერი ალ. ყიფშიძე კითხულობს მოხსენებას ილიასტულის უძრავი ქონების შესახებ: ამ მოხსენებაში, სხვათაშორის, ნათქვამია, რომ გამგეობამ, სამწუხაროდ უარი სთქვა ილიასტულის ტფილისის სახლის სყიდვაზე, რადგან ისედაც ძრიელ დავალიანებული სახლი 1910 წლის ზაფხულის ნიაღვრებმა საშინლად დააზარალო. უკეთუ სსზოჯალო კრება ისურვეს ამ სახლის შექმნას, მაშინ საჭიროა გამოძებნოს წყარო, თუ საიდან მოიპოვოს ვალი და ვასწიოს ხარჯი შენობის შესაკეთებლად.

ხანგრძლივს კამათს იწვევს აზრი ილიასტულის სახლის ყიდვის შესახებ ტფილისში. კიტა აბაშიძე: ისეთი ღიღებულის აღმოჩენების სახლებს საზოგადოებრივი კი არ უშვებენ ხელიდან, პირიქით იძენენ: ამიტომ ილიასტულის სახლი ტფილისში უთუოდ შექმნილ უნდა იქმნას. ვალის ვასასტუმრებლად ყოველგვარი ზომები უნდა ვიხმართ, ბანკსაც მივმართოთ თხოვნით, განყოფილებანიც დაიხმართ, ხელის მოწოვაც ვავართოთ და სხვა. მიხეილ გედევანიშვილი და ალ. დიასმიძე ემხრობიან კიტა აბაშიძის და დაძენენ: მისის ბანკის კრებაზე შევიტანოთ შესაფერი თხოვნა. კრება ადგენს: ილიასტულის სახლი ტფილისში არ გაუშვას ხელიდან საზოგადოებამ და ამისთვის გამგეობამ მიჰმართოს დასახლებულს ზომებს. შემდეგ კრება ვადაღის 1911 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვაზე. ხარჯთ-აღრიცხვის შემოსავლს, რომელიც უდრის 11660 მ. 13 კაპ. კრება უკუვლად ამტკიცებს. სავარაუდო ვასავლის რამდენიმე მუხლი იწვევს კამათს. 5. ელიავა თხოულობს ვადაღებულ იქმნას წიგნის მალაზია უფრო მოხერხებულს ადგილას. ხარჯთა აღრიცხვაში შეტანილი ფული 200 მანეთი თურხანის გამოსაკვად, რომელშიაც ოქმების ვარდა არა იმეკლება-რა, და 300 მანეთი ხაზინადრისათვის, რომლისთვისაც ვამაგირის დანიშვნა განუძრავს გამგეობას, უნდა გამოირჩეს იქმნას, რადგანაც 300 მანეთად ხაზინადრის ადგილზე ვამგეობა ვერავის იშოვნის; ეს თანამდებობა

უნდა დაეცისროს ერთ-ერთ გამგეობის წევრს ან მდივანს, რომლის ჯამაგირსაც უნდა მიემართოს ეს 300 მანეთი. ინსპექტორის დანიშნვის შესახებ ემხრობა გამგეობას, მხოლოდ საკუროდ ხელდას, რომ ხარჯთ-აღრიცხვები აღნიშნული საგზაოდ 600 მანეთი გამგეობის ხელთ იყოს და იქაღვან ეძლეოდეს გზის ხარჯად ინსპექტორის ბილ მიხედვით, თუ რამდენს დახარჯავს.

ექვთიმე თაყაიშვილი: განსაკუთრებული შეთვალუტრე რომ ჰყოფდეს საზოგადოებას, რასაკვირველია, კარგია, მაგრამ ძნელია ამ ხარჯის გაღება. თავი და თავი მდივანია, მისი ჯამაგირი 1200 მანეთი მეტად მცირეა, ამ ჯამაგირით მდივანი ვერ დაქმნაოფილდება და უსათუოდ გამოედევნება სხვა საქმეს. მდივნის ენერჯიაზე და უნარზეა დამოკიდებული საზოგადოების მოქმედება. უსათუოდ უნდა მოეძებნოთ მდივნის თანამდებობაზედ მომზადებული და ენერჯიული კაცი და დაეუნაშნოთ ჯამაგირი 2500 მანეთი. რაც შეეხება სკოლებისა და ბიბლიოთეკების ინსპექტორის თანამდებობას, ეს საკითხი მომავლისათვის გადაიდოს. **კიტა აბაშიძე** ეთანხმება ექვთიმე თაყაიშვილსა. **შოა დედაბრიშვილი** თხოულობს, რომ ინსპექტორობის როლი დაეცისროთ მდივანს და ამით ავიცილოთ 1200 მანეთის ხარჯი. **გრიგოლ ყრფშიძე:** საკუროა მდივანიც და გარეშე კაციც, რომელიც ივლის სოფლებში და გარეშე იზრუნებს, ქოლაქში კი დაეხმარება მდივანს. **შალვა მიქელაძე:** ინსპექტორის მოვალეობაა სკოლების გახსნის ინიციატივა, ბიბლიოთეკების დაარსება და სხვა საქმეები; საკუროა მდივანიც და ინსპექტორიც. ამ ორი თანამდებობის შეერთება ყოფილად შეუძლებელია. საკუროა მდივნის ჯამაგირს მიემართოს ხაზინადრისთვის განზრახული ჯამაგირიც. თავმჯდომარე იძლევა კითხვას, დაარსდეს თუ არა ინსპექტორის თანამდებობა? ამ წინადადებას კენჭს უყრიან. 26 მომხრეა ინსპექტორის თანამდებობის დაარსებისა, 17 წინააღმდეგი. **გ. იმნაიშვილი:** საკუროა მასწავლებლებს რიგიანი ჯამაგირი მიეცეთ, რომ ისინი ჩვენგან სხვაგან არ გარბოდნენ. **თავმჯდომარე:** როგორც

გამგეობის მოხსენებიდან სჩანს, მიქცეულია ამ საგანზე ყურადღება გამგეობისა, რომელიც მასწავლებლებს პირველ წელს უნიშნავს ჯამაგირს 35 მან. თვეში; ხუთი წლის სამსახურის შემდეგ მასწავლებლებს თან და თან ემატებათ ჯამაგირი. **ფილ. მგელაძე**—საკუროა მასწავლებელთა უზრუნველყოფა სინტირისა და მოღლილობის დროს. **ი. ვართაგავა** თხოულობს ინსპექტორს დაენაშნოს წლიურ ჯამაგირად 2000 მან და 500 მანეთი საგზაოდ. ხმის უმეტესობით ყრება ამტკიცებს გასაღამოს შემდეგის ცვლილებით: ა) ინსპექტორს მიეცეს წლიურ ჯამაგირად 1200 მან; საგზაო ფული 600 მანეთი იყოს გამგეობის განკარგულებაში; ბ) ჟურნალის გამოსაცემი ფული 200 მანეთი და ხაზინადრისთვის 300 მანეთი ხარჯთ აღრიცხვიდან ამოიშალოს; გ) 300 მანეთი ხაზინადრის მიემართოს მდივნის ჯამაგირს, რაც შეადგენს 1500 მანეთს. დასასრულდ მოხდა არჩევნები.

საზოგადოების თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა ისევ გენერალი გ. ნ. ყაზბეგი. გამგეობის წევრებად კენჭის ყრით არჩეულ იქნენ:

- | | | | | |
|---------------------|----|-------|----|-------|
| 1. ლ. ბოცვაძე | 58 | თფრი. | 1 | მაგი. |
| 2. დ. კარიჭაშვილი | 57 | „ | 2 | „ |
| 3. ა. ყოფშიძე | 56 | „ | 3 | „ |
| 4. ფ. გოგიჩაიშვილი | 54 | „ | 4 | „ |
| 5. გ. რცხილაძე | 52 | „ | 7 | „ |
| 6. შ. მიქელაძე | 50 | „ | 9 | „ |
| 7. ს. გორგაძე | 49 | „ | 10 | „ |
| 8. ა. მდივანი | 48 | „ | 11 | „ |
| 9. არ. ჯაჯანაშვილი | 39 | „ | 20 | „ |
| 10. ნ. ფლიავე | 39 | „ | 20 | „ |
| 11. ს. აფთარიძე | 35 | „ | 24 | „ |
| 12. შ. დედაბრიშვილი | 32 | „ | 17 | „ |

მათ კანდიდატებად არჩეულ იქნენ ფ. მგელაძე, ივ. ქაჯვაძე და ი. ვართაგავა. სარევიზო კომისიის წევრებად: ან. ლულაძე, კ. კანდელაკი და დ. დუმბაძე.

არჩევნების შედეგის გამოცხადების შემდეგ მიღებულ იქ-
 26ა „საზოგადოების“ წევრად: 1) აფხაზი ივანე დიმიტრის ძე, 2) აფხაზი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე, 3) ანტონ არქიმან-
 დრიტი, 4) ამილახვარი გიორგი დავითის ძე, 5) ამილახვარი
 ვკატერინე ზაღის ასული, 6) აღექსი მესხიშვილისა აღექსან-
 დრა გიორგის ასული, 7) ახაბაძე ვასილ, 8) ავალიშვილი
 არჩილ ნიკოლოზის ძე, 9) ბეროზაშვილი გიორგი პაღდასარის
 ძე, 10) ბებიაშვილი რომანოზ დიმიტრის ძე; 11) ბურჯაძემ
 ყრუელე პავლეს ძე, 12) ბარათაშვილი დავით ნიკოლოზის ძე,
 13) გოგლიჩიძე სვიმონ პავლეს ძე, 14) გოპაძე ილია მერაბის
 ძე, 15) გრუზინსკი პეტრე აღექსანდრეს ძე, 16) გურგენიძე
 კონსტანტინე ივანეს ძე, 17) გრიშავეი ელისაბედ, 18) გობე-
 ჯიშვილი იოსებ, 19) ვახუკიძე ექვთიმე, 20) გოკიფლივი
 ფრანჩესკო, 21) გოგავა ვარლამ, 22) გელაშვილი მინა, 23)
 გვერდწითელი პლატონ, 24) გიორგაძე მიხეილ გიორგის ძე,
 25) ბაქრაძე ნინა იოსების ასული, 26) დგებუაძე კალისტრა-
 ტე არტვის ძე, 27) დარიალაშვილი აღექსანდრე ძეანეს ძე,
 28) დავითაშვილი მარიამ, 29) დიასამიძე დიმიტრი გიორგის
 ძე, 30) დიასამიძე თინათინ, 31) დლაბაძე მლ. კონსტანტინე,
 32) დევაძე არჩილ, 33) დამუქიაშვილი გიორგი დიმიტრის ძე,
 34) დურგლიშვილი ვანო, 35) დევანოზიშვილი ივანე მათეს
 ძე, 36) ელიოზიშვილი მარიამ კონსტანტინეს ასული, 37
 გრისთავი მიხეილ ლევანის ძე, 38) ვახვაშიშვილი ზაღ დი-
 მიტრის ძე, 39) ვახვაშიშვილი ნიკოლოზ ათანასეს ძე, 40)
 ზალიშვილი მიხეილ რომანოზის ძე, 41) ზოდელავა ივანე
 ანტონის ძე, 42) თითობაძე პარმენ სოლომონის ძე, 43)
 თუმანიშვილი ნიკოლოზ აღექსანდრეს ძე, 44) თოფურბიძე
 მიხეილ, 45) იოსელიანი მარიამ კონსტანტინეს ასული, 46
 იაშვილი ნიკოლოზ პეტრეს ძე, 47) კაცსაძე ვერა, 48) კვლი-
 შვილი ერმოლოზ გიორგის ძე, 49) კირაკოზოვი სარქის მიხე-
 ილის ძე, 50) კახანაძე მლ. იოანე, 51) კაკესიძე მლ. დავით,
 52) კვალიაშვილი ივანე დიმიტრის ძე, 53) კვალიაშვილი

ილია აღექსანდრეს ძე, 54) კასრაძე, ანტონ ანტონის ძე,
 55) კვჭერელი-კობაძე, ივანე ნიკოლოზის ძე, 56) კარბელა-
 შვილი, თამარა ვასილის ასული, 57) კურდღლაშვილი, ნიკო-
 ლოზ, 58) კალანდარიშვილი, დიმიტრი, 59) ლოლაძე, გი-
 ვოლ დავითის ძე, 60) ლომაურისა, ნინო ანტონის ასული
 61) ლორთქიფანიძე, აღექსანდრე სვიმონის ძე, 62) ლომაური,
 გიორგი ივანეს ძე, 63) ლორთქიფანიძე, იაკობ, 64) ლუკა
 შვილი, ზაქარია, 65) ლორთქიფანიძე, იოსებ, 66) ლომაური,
 თამარა 67) ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ, 68) მესხიძე, ივანე
 საჩინოს ძე, 70) მაღალაშვილი, კონსტანტინე დავითის ძე,
 71) მაღალაშვილი, ლევან, 72) მელიქიძე, ანნა ივანეს ასული,
 73) მაჩაბელი, ელენე გიორგის ასული, 74) მაჩაბელი, ქს.
 აღექსანდრა ილიას ასული, 75) მოღებაძე, კ; 76) მელია, პე-
 ტრე გრიგოლის ძე, 77) მენთეშვილი, ზაქარია ხარტონის
 ძე, 78) ნატროშვილი, ილია ივანეს ძე, 79) ნადირაძე, ნიკო-
 ლოზ, 80) ნადირაშვილი, ივანე, 81) ნემსაძე, მიხეილ, 82)
 ნემიანი აღექსანდრე, 83) ონიაშვილი, გიორგი ფერმის ძე,
 84) პაატაშვილი, დიმიტრი ივანეს ძე, 85) რაზიკაშვილი, თევ-
 დორე პავლეს ძე, 86) რაზიკაშვილი, მიხეილ სვიმონის ძე,
 87) რატიანი, გიორგი ვარსევანის ძე, 88) რაზმაზი
 შვილი, ზაქარია, 89) სენიაშვილი, სოფია მიხეილის
 ასული, 90) სააკაშვილი, სვიმონ ნიკოლოზის ძე, 91) სიღ-
 მონ-ფრისთავი, იოსებ ვასილის ძე, 92) სოლოლაშვილი, დავით
 გრიგოლის ძე, 93) სამადალაშვილი, ივანე იასონის ძე, 94)
 უზნაძე, ივანე ნიკოლოზის ძე, 95) ფხაბაძე, მლ. აღექსანდრე,
 96) ფურცელაძე, ირაკლი ესტატეს ძე, 97) ქუთათელაძე, ლიუ-
 ცია, 98) ქავთარაძე, ვასილ ივანეს ძე, 99) დამბარაშვილი,
 გამრიელ გრიგოლის ძე, 100) ლამაზაძე, დავით, 101) ყარან-
 გოზიშვილი, ელენე, 102) ყიზილაშვილი, თედო გიორგის ძე,
 103) ყაფრიშვილი, დავით იაკობის ძე, 104) ყიფიანი, რუმენ;
 105) შილაკაძე, თომა, 106) ჩხენკელი, ივანე აღექსის ძე, 107)
 ჩეკურიშვილი, მლ. ისაკ, 108) ჩხენკელი, აკაკი ივანეს ძე, 109)

ცისკარაშვილი, იოსებ ფარესის ძე, 110) ცხვედაძე, მლ. ლეონ-
ტი, 111) ცერცვაძე, ალექსანდრე ივანეს ძე; 112) ცერცვაძე,
ონისიმე ზაქარიას ძე, 113) ციბილაშვილი, მლ. გიორგი, 114)
ჭავჭავაძე, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე, 115) ჭავჭავაძე, მიხე-
ილ დავითის ძე, 116) ჭეიშვილი, სოლომონ ალექსის ძე, 118)
ხასიშვილი, სერგო, 119) ხუბუნი გრიგოლ, 120) ხახანაშვილი,
კონსტანტინე თომას ძე, 122) ხრუხულიძე, გიორგი მიხეილის
ძე, 123) ჯაფარიძე, პარმენ, 124) ჯავახიშვილი, ნიკოლოზ,
125) ჯიბლაძე, ონისიმე მიხეილის ძე, 126) ჯავახიშვილი,
დმიტრი ვასილის ძე, 127) ჯამასხოვი ვლადიმერ, 128)
ჯაჯანაშვილი, არჩილ რაეფენის ძე, 129) ჯილაური, ნიკოლოზ
ზაქარიას ძე.

ნაწილი პირველი.

I

„საზოგადოების“ შემადგენლობა.

„საზოგადოების“ გამგეობა იმყოფება ტფილისში; განყო-
ფილებანი: ბათოშში, ბაქოში, გორში, ახალსენაკში, ბორჯომ-
ში, თელავში, კაკეკეში, სამტრედიოში, სოხუმში, ფოთში,
ქუთაისში, ყვირილში, ქიათურაში და ხონში.

„საზოგადოების“ წევრნი:

1911 წლის 1 იანვარს „საზოგადოებას“ ჰყავდა 1298
წევრი: 10-საპატო, 53-დამფუძნებელი და 982-ნამდვილი-
საინგარიშო წელს მიღებულ იქმნა საზოგადო კრებებზე 408
წევრი. წლის განმავლობაში დააკლა: 1 საპატო წევრი
(ნ. ზ. ცხვედაძე), 44 დამფუძნებელი, 150 ნამდვილი წევრი.
1912 წლის 1 იანვარს „საზოგადოებაში“ იყო 1511 წევრი:
9 საპატო, 9 დამფუძნებელი და 1493 ნამდვილი წევრი.

საზოგადოების საპატო წევრნი:

- | | |
|--|-----------|
| 1. იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი, არჩეულია | 1890 წელს |
| 2. ოლღა თადეოზის ასული ჭავჭავაძე | „ 1894 „ |
| 3. აკაკი როსტომის ძე წერეთელი | „ 1896 „ |
| 4. იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი | „ 1906 „ |
| 5. ლევან კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი | „ „ „ |
| 6. პეტრე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი | „ „ „ |

„საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრნი:

1. არღუთაშვილი-მხარგრძელი, თ-დი ნიკოლოზ ვასილის ძე.
2. ბაგრატიონ მუხრანბატონი, თ-დი ერეკლე კონსტანტინეს ძე-

3. ბგრატიონ-მუხრანბატონი, თავადის მეუღლე ბარბარე ირაკლის ასული.
4. შაჩაბელი, თ-დი ვასილ გიორგის ძე.
5. მუსხელიშვილი, დიმიტრი ივანეს ძე.
6. საგინაშვილი, ელისაბედ გრიგოლის ასული.
7. ყაზბეგი, გიორგი ნიკოლოზის ძე.
8. ხახანაშვილი, ალექსანდრე სოლომონის ძე.
9. ჯანდიერი, თ-დი ლევან გიორგის ძე.

ნამდვილი წევრნი რომელთაც ერთიანად ჰქვთ გადახდილი იქნის საწევრო ფულადი.

1. ბგრატიონ-დავითაშვილი, თ. გიორგი ალექსანდრეს ძე.
2. ბერელაშვილი, ადამ ზურაბის ძე.
3. ბერელაშვილი, ვასილი გერასიმეს ძე.
4. დაღანი, თ-დი იოსებ იულონის ძე.
5. დეკანოზიშვილი, ირაკლი გრიგოლის ძე.
6. ზდანოვიჩი, გიორგი ფელიქსის ძე.
7. ზუბალაშვილი, იოსებ გრიგოლის ძე.
8. თაყაიშვილი, ექვთიმე სვიმონის ძე.
9. ისარლიშვილი, მიხეილ პეტრეს ძე.
10. კენაძე, სარდიონ ბესარიონის ძე.
11. კუნდუროვი, გიორგი თევდორეს ძე.
12. მარაძე, დეკანოზი ლუკა.
13. მანსეტოვი, იაკობ ალექსანდრეს ძე.
14. მელიქიშვილი, პეტრე გრიგოლის ძე.
15. ნიკოლაძე, ნიკოლოზ იაკობის ძე (ფოთისა)
16. ორბელიანი, თავადის მეუღლე მარიამ ვახტანგის ასული
17. ორბელიანი, თ-დი ალექსანდრე ივანეს ძე.
18. რეხვაძე, ვასილ ილიას ძე.
19. სააკაშვილი, სვიმონ ნიკოლოზის ძე.
20. ხილამონ-ერისთავი, თავადის მეუღლე ელისაბედ გრიგოლის ასული.

21. სუხიაშვილი, დეკანოზი მათე.
22. ქიქოძე, მიხეილ ათანასეს ძე.
23. ჩიქოვანი, ალექსანდრა ლაზარეს ასული
24. ჯანაშვილი, მოსე გიორგის ძე.
25. კერცვაძე, გრიგოლ იაკობის ძე.
26. კინცაძე, მატრონე დანიელის ასული (ფოთისა)
27. კინცაძე, ნესტორ დიმიტრის ძე.
28. კინცაძე, ნადეჟდა დიმიტრის ასული.

II.

„საზოგადოების“ თავმჯდომარე გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი, 9 მარტიდან 1908 წლისა.
მისი ამხანაგი—ალექსანდრე ბესარიონის ძე მდივანი, 3 ივნისიდან 1910 წლისა.

- გამგეობის წევრნი: დ. გ. კარიჭაშვილი, წევრი 1892 წლიდან.
- | | |
|----------------------|-------------------|
| ფ. გ. გოგრიანიშვილი, | 1902 წლიდან |
| ა. თ. ყიფშიძე, | 1908 „ |
| გ. ს. რეხვაძე, | წევრი 1908 წლიდან |
| ლ. გ. ბოცვაძე, | „ |
| მ. ზ. დედაბრიშვილი, | 1911 „ |
| ნ. ზ. ელიოვა | „ |
| მ. ა. მიქელაძე | „ |
| ს. რ. გორგაძე | „ |
| მ. რ. ჯაჯანაშვილი, | „ |
| ს. დ. ჯაფარიძე | „ |
- მთლი კანდიდატები: იპოლიტ. ვართაგავა, ფ. ბ. მგელაძე და ივ. ქუკუაძე.
სარევიზო კომისიის წევრნი: ა. ს. ლულაძე, რევიზორია 1895 წლიდან.
დ. მ. დუმაძე, 1911 „
კ. ე. კანდელაკი „ „

1911 წელს, ზუგდიდში, გამგეობის წევრობას თავი დაანება ნ. ელიაშვილი. შემოდგომიდან გამგეობის წევრებად მოწვეულ იქმნენ კანდიდატები: იპოლიტე ვართაგვიანი და ფილონე გელაძე.

1911 წლის განმავლობაში გამგეობას ჰქონდა 48 სხდომა. გამგეობის წევრთაგანი დაესწრა:

თავმჯდომარე გ. ნ. ყაზბეგი	23	ჯერ;
მისი ამხანაგი ა. ბ. მღვიანი	22	"
წევრნი: დ. გ. კარიკაშვილი	41	"
ლ. გ. ბოცაძე	44	"
ა. თ. ყიფშიძე	38	"
შ. ზ. დედაბრიშვილი	24	აბრ-დან 30
გ. ს. რტვილაძე	24	"
შ. ა. მიქელაძე	24	"
ა. რ. ჯაფარიანი	34	"
ს. რ. გორგაძე	22	"
ს. დ. ჯაფარიძე	6	"
5	1	"
ი. შ. ბ. გოგინიშვილი	14	ჯერ.
ფ. ბ. მგელაძე	4	"

გამგეობის სხდომებს თავმჯდომარეობდა: გ. ნ. ყაზბეგი 23 ჯერ, ა. ბ. მღვიანი—13 ჯერ, დ. გ. კარიკაშვილი 10 ჯერ, ა. თ. ყიფშიძე—2 ჯერ.

1911 წლის 27 მარტამდის საქმის მწარმოებლად იყო ს. კაკაბაძე, 28 მარტიდან 1 ივლისამდე საქმის-მწარმოებლის თანამდებობას ასრულებდა გამგეობის წევრი ლ. გ. ბოცაძე. 29 ივნისის მოწვეულ იქმნა ამ თანამდებობაზე გ. ბურჭულაძე. სანგარიშო წლის 1 ივლისამდე ხაზინადარ იყო ლ. ბოცაძე, 1 ივლისიდან არჩეულ იქმნა ა. თ. ყიფშიძე. გამგეობის სხდომაზე სანგარიშო წლის განმავლობაში გაირჩია 315 საქმე.

III.

„სსოკვალაქის“ განყოფილება:

1. ახალ-სენაკისა (დაარსდა 1909 წ.). თავმჯდომარე—ოლო გიორგის ასული ხოფერია, გამგეობის წევრნი: ანასტასია ივანეს ასული ქვალა, პ. ე. ლორთქიფანიძე, მღვდელი გ. ვ. გამხარდია, ნ. ა. ჯიჯინია, გ. ი. მდინარაძე და მ. პ. თათარიშვილი. გამგეობამ 1911 წლის განმავლობაში გაარჩია 41 საქმე, ჰქონდა 14 სხდომა. სარევიზო კომისია: ლ. ქავთარაძე, ა. პ. პნატურია და პეტრე დგებუაძე. განყოფილებას აქვს 4 ბიბლიოთეკა, 1912 წლის 1 იანვარს ჰყავდა 49 წევრი; შემოსავალი იყო 340 მ. 57 კ. ხარჯი 167 მ. 20 კ.

2. ბათუმისა (1909 წ.). 1 იანვარს 1912 წელს ჰყავდა 163 წევრი. თავმჯდომარე: ე. მ. კრინიკი, გამგეობის წევრნი: ა. ნ. შატლოვი, კ. ი. ჩხილაძე, ე. ს. ბერძენიშვილი, პ. გ. გიგინიშვილი; გ. ლ. ელიაშვილი, ი. ა. მელია, გ. პ. ნიკიტინი, ნ. ა. საბავი, ვ. დ. რუხაძე, ი. ი. ფურაძე. გამგეობას ჰქონდა 23 სხდომა, გაარჩია 91 საქმე. სარევიზო კომისია: პ. დ. გამყრელიძე, კ. ა. გოგოლაძე და კ. ს. ქელიძე. განყოფილება ინახავს ერთ სკოლას, ბათუმში; განყოფილების შემოსავალი იყო 5635 მ. 73 კ., გასავალი 5535 მ. 98 კ.

3. ბაქოსი (1909 წ.). 1 იანვარს 1912 წ. ჰყავდა 147 წევრი, ანათში ხუთი მუდმივი. თავმჯდომარე: თდი ი. ი. დადიანი; გამგეობის წევრნი: ს. მ. კვიციანი, ვ. შ. ახვლედიანი, ვ. ბ. ხუჭუა, რ. ს. ნაკლიშვილი, დ. ი. თედეშვილი, თდი პ. დ. გელაშვილი, მ. ა. ნასიძე, დ. ი. ჯორჯიკია, კ. ტ. ლორთქიფანიძე, მ. ი. კალანდარიშვილი, ვ. ა. აბომაძე, ლ. ლ. გოციანი, პ. ი. ქარუმიძე. სარევიზო კომისია: ა. ს. ქაღვიძი, ა. ბ. ნემსაძე, თდი ლ. გრიგორაშვილი.

გამგეობასთან არსებობს ოთხი კომისია: სასკოლო, სამეურნეო, საამწებლო, სათევტრო. 1911 წლის განმავლობაში გამგეობას ჰქონდა 44 სხდომა, გაარჩია— 117 საქმე.

განყოფილება ინახავს 1 სკოლას და მასთან ბიბლიოთეკას; შემოსავალი იყო 6500 მან. 92 კაბ., ხარჯი— 5961 მან. 56 კ.

4. ბორჯომისა (1910 წ.), 1 იანვარს 1912 წ. ჰყავდა 49 წევრი: 1 საპატია (ელ. სვიმ. ყიფიანი) და 48 ნამდვილი. თავმჯდომარე— ნ. ხ. ჯომარჯიძე; გამგეობის წევრნი: მ. ი. მურვანიშვილი, ზ. ა. ნებიერიძე, მ. ი. ქიქოძე, დ. ი. მოსიციხე, ზ. თ. დანელია, ა. ნ. ხმალაძე.—სარევიზო კომისია: ზ. პ. კიქნაძე, ალ. ციხისტარიშვილი, სოლ. ხუციშვილი. გამგეობასთან არსებობს დამხმარებელი კომისია, 5 კაცისაგან შემდგარი. 1911 წლის განმავლობაში გამგეობას ჰქონდა 6 სხდომა, გაარჩია 22 საქმე. განყოფილება ინახავს ერთს ბიბლიოთეკას. შემოსავალი— 447 მან. 24 კაბ., ხარჯი— 425 მან. 30 კაბ.

5. გორისა (ვაიხსნა 1911 წლის შემოდგომაზე), 1 იანვარს 1912 წ. ჰყავდა 30 წევრი. თავმჯდომარე: თ-დი ნ. ა. თუმანიშვილი; გამგეობის წევრნი: ნ. ი. ლომაური, თ. პ. რაზიკაშვილი, კ. მ. ელიოზიშვილი, პ. ქ. ჯაფარიძე, ი. დ. კვალაშვილი და ან. ან. კასრაძე.

6. თელავისა (1909 წ.), 1 იანვარს 1912 წ. ჰყავდა 92 წევრი: 2 საპატია (ეპისკოპოზი დავით ალავერდელი და ივანე დიმიტრის ძე კალატოზიშვილი) და 90 ნამდვილი. თავმჯდომარე: თ-დი მ. ზ. ქავჭავაძე; გამგეობის წევრნი: ვ. ბ. კახიძე, ზ. თ. მარკოზაშვილი, ი. რ. პაატაშვილი, თავადის მეუღლე ა. ნ. ქავჭავაძე, ა. რ. კახიძის, თავადის ასული ქ. ი. რუსიფი-ყორჩიშვილი, თავადის მეუღლე თ. ა. აბაშიძე, ნ. ი. მამიანიშვილი, გ. ი. ხიზანიშვილი, გ. დ. იორდანიშვილი და ა. რ. ვახუშტიშვილი.

სარევიზო კომისია: ა. ზ. ბარნოვი, ნ. პ. ლუღუშვილი და მ. დ. ცისკარაშვილი. 1911 წლის განმავლობაში გამგეობას ჰქონდა 17 სხდომა გაარჩია 23 საქმე. განყოფილება ინახავს თელავში ერთს პირველ დაწყებით სკოლას, რომელიც ვაიხსნა 1911 წ. 1 ენციისთვის; აწარმოებს წიგნსა და საკანცელარიო ნივთების მალაზიას, და განაგებს ილია ქავჭავაძისეული ყვარლის მამულს, რომელიც შეიძინა ბანკისაგან ტელიონის თავდაზნაურობამ და გადასცა ქ. შ. წ. კ. გამაერკლემელ საზოგადოებას. განყოფილებს 1911 წლის შემოსავალი— 949 მ. 66 კაბ., ხარჯი— 444 მან. 12 კაბ.

7. კავკავისა (1909 წ.), 1 იანვარს 1912 წელს ჰყავდა 319 წევრი. თავმჯდომარე ი. გ. შვილევე; გამგეობის წევრნი: მღვდელი გიორგი ნათაძე.

განყოფილება ინახავს კავკავში ქართულს პირველ დაწყებით სკოლას და მასთან ბიბლიოთეკას. 1911 წელს განყოფილებს შემოსავალი ყოფილა 6485 მან. 52 კ.— გასავალი 6144 მ. 44 კ.

8. სამტრედიისა (1909 წ.), 1 იანვარს 1912 წ. ჰყავდა 32 წევრი. თავმჯდომარე: სოლ. ნიკ. წერეთელი; გამგეობის წევრნი: ბ. გ. სურგულაძე, გ. ქ. ურუშაძე, გ. მ. სიხარულიძე, რ. ი. ნანიშვილი, დ. მ. კვანტალიანი და გიორგი ღუნდუა. სარევიზო კომისია: მ. ბ. მიქაძე, ს. გ. სიხარულიძე და ი. მ. სიხარულიძე.

საანგარიშო წოდს განმავლობაში გამგეობას ჰქონდა 25 სხდომა, გაარჩია 78 საქმე. გამგეობასთან არსებობს წარმოდგენების გამმართველი სექცია, რომელშიაც შედის ორი წევრი გამგეობისა. განყოფილებას აქვს 3 ბიბლიოთეკა-სამკითხველო და აწარმოებს წიგნისა და საკანცელარიო ნივთების მალაზიას, რისთვისაც აშენებული აქვს საკუთარი კოსკი. განყოფილებს შემოსავალი— 620 მან. 44 კ. ხარჯი— 636 მან. 22 კ.

6. სოხუმისა (1909 წ.), 1 იანვარს 1912 წ. ჰყავდა 174 წევრი. თავმჯდომარე: თავადის მეუღლე მ. ნ. ანჩაბაძე; გამგეობის წევრნი: თავადის მეუღლე დ. გ. გელოვანი, ნ. ს. ჯანაშია, ოღლა დმიტრის ასული გოგლიძიძე, გრაფინია ე. ს. სოლოგუბი, თავადის მეუღლე ა. ნ. ავალიშვილი, სალომე ლოლუა, თეკლე თურქია, ელვონარია შიხ. — ასული მახვილიძე, ნინო ალ — ასული თურქია, ნინო პეკ. — ასული მიქავარიანი, ელენე ნიკ. — ასული ნადარეიშვილი, თ — დი ნ. ყ. თავდგირიძე, გ. პ. თურქია და კ. ი. ჯაფარიძე. სარევიზოო კომისია: ვ. ლ. გოგლიძიძე, ა. პ. გიორგობიანი და ი. გ. ბურჭულაძე.

გამგეობასთან არსებობს საამშენებლო კომისია, 6 კაცისაგან შემდგარი.

საანგარიშო წლის განმავლობაში გამგეობას ჰქონდა 10 სხდომა, ვაარჩია 26 საქმე.

განყოფილება ინახავს ქართულს სკოლას, რომლისთვისაც აშენებს საკუთარ სახლს.

განყოფილების შემოსავლი 2204 მან. და 03 კაბ., ხარჯი 2304 მან. და 68 კაბ.

10. ფოთისა (1910 წ.) 1 იანვარს 1912 წ. ჰყავდა 27 წევრი: 4 მუღმივი, 23 ნამდვილი. თავმჯდომარე: ი. მ. შეუნარგია; გამგეობის წევრნი: ანნა ვალ. — ასული მიქაბერიძე, კ. ი. გამყრელიძე, ა. პ. უჯანია, ი. ი. კობრეიძე, ვ. ი. გაგუა, მღვდელი ლ. წულაძე, ი. ე. ალექსიშვილი, ა. ი. იაგულოვი. (სარევიზოო კომისია არ არის არჩეული)

გამგეობასთან არსებობს წიგნების საფარკო კოსკის ამშენებელი კომისია, საანგარიშო წელს გამგეობას ჰქონდა 8 სხდომა, ვაარჩია 9 საქმე. განყოფილებას ჯერ ჯერობით არა აქვს არც სკოლა და არც ბიბლიოთეკა; წელს მხოლოდ ოთხის სკოლისთვის გამოუწერია ჟურნალი „ნადალელი“ განყოფილების შემოსავლი 644 მან. 28 კაბ., ხარჯი 102 მან. 16 კაბ.

11. ქუთაისის (1909 წ.), 1 იანვარს 1912 წ. ჰყავდა 31 წევრი, თავმჯდომარე: გ. ფ. ზდანაიჭიჩი; გამგეობის წევრნი: იოსებ ოცხელი, იაკობ ფანცხაია, სამსონ ყიფიანი, სილოვან ხუნდაძე, ბართლომე მოსენველი, იახონ ბაქრაძე და ისიდორე კვიციანიძე.

საანგარიშო წელს გამგეობას ჰქონდა 7 სხდომა, განიხილა 36 საკითხი. განყოფილების მხარუნველობის ქვეშ იმყოფება 8 სამკითხველო. დახმარების ბიბლიოთეკებს და სკოლებს 270 მან. და 94 კაპეკითა. შემოსავალი 1309 მან. 61 კაბ., ხარჯი 541 მან. 92 კაბ.

